



WORLD
RESOURCES
INSTITUTE



GLOBAL ENVIRONMENT FACILITY
INVESTING IN OUR PLANET

GLOBAL FOREST WATCH GEORGIA

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი (WRI) ერთობლივად ახორციელებს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებულ პროექტს - “Global Forest Watch (GFW) Georgia”. პროექტის ბიუჯეტი წარმოადგენს 1,500,000 აშშ დოლარს და სამინისტროს მხრიდან არაფულად 2,000,000 აშშ დოლარით კონტრიბუციას (In-kind contribution), რომლის ფარგლებშიც გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) წარმოდგენილია როგორც განმახორციელებელი სააგენტო, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი (WRI) - აღმასრულებელი სააგენტო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო როგორც აღმასრულებელი პარტნიორი.

პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ტექნოლოგიითა და ინფორმაციით წახალისება და ხელშეწყობა უმეტესწილად კი ტყისა და ტყიანი ლანდშაფტების არეალში. პროექტის წარმატებით განხორციელება და მისი შედეგები გააუმჯობესებს მიწათსარგებლობასა და ტყეებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გამჭვირვალობას და სიზუსტეს, ასევე, უზრუნველყოფს ინფორმაციის აქტიურ გამოყენებას და ხელს შეუწყობს სატყეო სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებების როგორც დაგეგმვასა და განხორციელებას, ასევე მონიტორინგს.

პროექტის განხორციელება ხელს უწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების (DCFTA) 233-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებისა და სამოქმედო გეგმის, ასევე ახალი ტყის კოდექსის 24-ე მუხლის აღსრულებას ახალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის დანერგვით. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულება ასევე დაეხმარება სამინისტროს სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულებების, მაგ. “Forest Europe”, “UNFF”, “SDGs”, “FAO”, “UNECE“-ის ფარგლებში არსებული ეროვნული ანგარიშგების (რეპორტების) ხარისხის უზრუნველყოფაში, ამასთან, აღსანიშნავია, რომ შესაძლებელი გახდება საერთაშორისოდ აღიარებული ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით მონაცემთა სისტემური შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და გამარტივებული ვიზუალიზაცია, რომელიც ასევე დაეხმარება სამინისტროს ტყისა და მიწათსარგებლობის კუთხით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ასევე ტყით სარგებლობისა და ტყის ტენდენციების მონიტორინგსა და ანალიზში.

პროექტით განსაზღვრული ძირითადი შედეგებია და მიზნად ისახავს:

- სამინისტროსა და მასში შემავალ უწყებებს შორის მონაცემთა გაუმჯობესებული მიმოცვლა
- უწყებებს შორის ქსელში მუშაობის დანერგვა და დუბლირებული მონაცემების არარსებობა
- ტყისა და მიწათსარგებლობის შესახებ უახლესი ინფორმაციით უზრუნველყოფა
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა ყველა დაინტერესებული მხარისათვის
- სატელიტის საშუალებით მიღებული ადრეული შეტყობინება (ხანძრები, ხე-ტყის უკანონო ჭრა)
- GFW2.0 ტექნოლოგიის დანერგვას საქართველოში გაუდაბნობის, ტყისა და მიწის დეგრადაციის, ასევე უკანონო ჭრების შესამცირებლად და ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის;
- როგორც ტყის ეროვნული ინვენტარიზაციის, ასევე სატყეო უბნის მართვის დონის ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმის შედეგად მიღებული მასალების ინტერპრეტირებას და დარუკებას GFW და ESRI/ArcGIS ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ტყის ხანძრებისა და უკანონო ჭრების ადრეული და რეალურ დროსთან მიახლოებული შეტყობინების სისტემა;
- GFW-ის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ვებ-ატლასის/პორტალის (IT webplatform/servers design) შექმნას ქართულ-ინგლისური ინტერფეისით, ასევე GFW-ის ანალიტიკური ვებ-ინსტრუმენტების ქართულ ენაზე შემუშავებას და მოთხოვნისამებრ ახალი ანალიტიკური ინსტრუმენტების შექმნას;
- ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტის ერთ სისტემაში ინტეგრირება რომელიც წარმოადგენს „ტყისა და მიწათსარგებლობის შესახებ ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების უზრუნველყოფის/მხარდაჭერ სისტემას“ (FLUIDS – Forest and Land Use Information and Decision Support System) და შეავსებს კონკრეტულ ინფორმაციულ და ანალიტიკურ ვაკუუმს და ხელს შეუწყობს როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას, ასევე ღონისძიებების დაგეგმვას და მათ მონიტორინგს როგორც სექტორში, ისე სექტორთაშორის დონეზე ტყისა და ტყიანი ლანდშაფტების არეალებში.
- FLUIDS სისტემასა და ვებ-ატლასს/პორტალს აქვს ნებისმიერი ტიპის ტყისა და მიწათსარგებლობის შესახებ სივრცული მონაცემების ვიზუალიზაციის, გაზიარების, ჩამოტვირთვის და ანალიზის შესაძლებლობა და ფუნქციები.

პროექტის განხორციელების საოპერაციო გეგმა შედგება 7 კომპონენტისაგან:

1. გეომონაცემთა პირველადი შეგროვება;
2. მონაცემთა დამუშავება, კლასიფიკაცია და ანალიზი; მონაცემთა კონსოლიდაცია ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის სტანდარტების შესაბამისად.
3. ტყისა და მიწათსარგებლობის გადაწყვეტილების მხარდაჭერი სისტემის - “Forest and Land Use Decision Support System” (FLUIDS) ვებ პორტალის/ატლასის შექმნა და დანერგვა სამინისტროში;
4. მონაცემთა და ვებ სერვერების, ასევე შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, განთავსება (Software & Hardware);
5. შესაძლებლობების გაზრდა სამინისტროსა და შესაბამის სტრუქტურული ერთეულების პერსონალისთვის, რომლებიც იმუშავებენ ზემოაღნიშნული სისტემით მომავალში;

6. ცნობიერების ამაღლება/საზოგადოებასთან კომუნიკაცია;
7. ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით სისტემატიური მონაცემთა შეგროვების დანერგვა და ანგარიშგება.

იმ შემთხვევაში, თუ FLUIDS ვებ-პორტალის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და სამინისტროს დადასტურებული მოთხოვნის გათვალისწინებით საჭირო იქნება დამატებითი მონაცემების შექმნა ან შექმნა (მაგ., კვლევა, აერო/სატელიტური გამოსახულებები, სივრცითი მონაცემები), WRI განიხილავს შესაბამისი ფინანსური და ტექნიკური რესურსების მობილიზაციას GFW პროექტის ფარგლებში.

პროექტის განხორციელების სტატუსი:

1. შეიქმნა და განვითარების პროცესშია ვებ-პორტალი (www.geo-forest-atlas.org)
2. ArcGIS პროგრამის გამოყენებით დამუშავების პროცესშია ტყის ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმების გეომონაცემთა ბაზები (უმეტესი დამუშავდა);
3. მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების გათვალისწინებით, დაწყებულია ტყის გეომონაცემთა ბაზისა და მასთან დაკავშირებული არტიბუტული ცხრილების სტანდარტის შექმნის მომზადება.
4. მიმდინარეობს მოლაპარაკება ESRI¹-სა და WRI-ს წარმომადგენლებთან ArcGIS სერვერისა და სხვა საჭირო ESRI-ს პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც დაფინანსდება GFW პროექტის ბიუჯეტით.
5. შემუშავებულია კითხვარი, რომელიც გამოავლენს სამინისტროსა და სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების დამოკიდებულებას, საჭიროებებს და მოთხოვნებს. დაწყებულია საჭიროებების გამოვლენა.
6. პროექტი აქტიურად თანამშრომლობს საჯარო რეესტრის ტექნიკურ სამუშაო ჯგუფთან, ითვალისწინებს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს, ასევე უწევს კონსულტაციებს და ეხმარება მოთხოვნის ანალიზის შემუშავებაში.
7. საჯარო რეესტრის ტექნიკურ სამუშაო ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაწყებულია საჭირო შესაძლო მონაცემთა ბაზის სპეციფიკაციების დადგენა, რომლის შესყიდვაც შესაძლებელია დაფინანსდეს GFW პროექტით და გადაეცეს სამინისტროს.
8. WRI-GFW-ს ინიციატივით, შექმნილია ტექნიკური სამუშაო ჯგუფი სამინისტროს, GIZ-ისა და WRI-GFW წარმომადგენლობით, რომელსაც კოორდინირებას ვუწევ პირადად მე. ჯგუფს გააჩნია ტექნიკური დავალება და არის ორი ტიპის: შიდა (10 წევრამდე) და გაფართოებული (20-30 წევრამდე) ტექნიკური სამუშაო ჯგუფები. ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მოეწყო 5-ჯერ, რომლის დროსაც განხილული იყო ყველა სტრატეგიული და ტექნიკური საკითხები, ასევე გამოვლინდა საჭირო ანალიზის ტიპების/ინსტრუმენტების განვითარების საჭიროება და მიმდინარეობს მუშაობა ამ კუთხით.
9. პროექტს ასევე კოორდინაციას უწევს ეროვნული მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ასევე პარტნიორი

¹ ESRI - Environmental Systems Research Institute

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლობით. საბჭო ასევე ხელმძღვანელობს საკუთარი ტექნიკური დავალებით.